თსუ იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი №10 (2024 წლის 11 სექტემბერი)

სხდომაში მონაწილეობდნენ:

1. პროფ. ბესარიონ ზოიძე (სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე);
2. პროფ. ლადო ჭანტურია (სამეცნიერო საბჭოს წევრი);
3. პროფ. ირაკლი ბურდული (სამეცნიერო საბჭოს წევრი);
4. პროფ. თევდორე ნინიძე (სამეცნიერო საბჭოს წევრი);
5. ასოც. პროფ. თამარ ზარანდია (სამეცნიერო საბჭოს წევრი);
6. ასოც. პროფ. ნათია ჩიტაშვილი (სამეცნიერო საბჭოს წევრი);
7. ასოც. პროფ. თამარ ზოიძე (სამეცნიერო საბჭოს წევრი);
8. ასისტ. დემეტრე ეგნატაშვილი (სამეცნიერო საბჭოს წევრი);
9. ასისტ. ანა თოხაძე (სამეცნიერო საბჭოს წევრი);
10. ასისტ. პროფ. გიორგი ამირანაშვილი (ინსტიტუტის წევრი, სხდომის მდივანი).

I. დღის წესრიგი

1. თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის სტრუქტურაში „ხელოვნების სამართლის ცენტრის“ შექმნა, რომლის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

- ხელოვნების სამართლის განვითარება და მისი სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ხელოვნების სამართლის ცალკეული მიმართულების კვლევა;
- პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ჩართვა ხელოვნების სამართლის კვლევასა და სამეცნიერო გრანტების მოპოვებაში;
- სემინარების, კონფერენციების ჩატარება ხელოვნების სამართლის მიმართულებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის ხელის შეწყობა ლექციების, კონსულტაციების, ერთობლივი კვლევების გზით;
- საერთაშორისო გამოცდილებისათვის ხელის შეწყობა ხელოვნების სამართლის დამკვიდრების პროცესში.

2. თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრის, ასოც. პროფ. ბატონი სერგი ჯორბენაძის კანდიდატურის ხელოვნების სამართლის ცენტრის ხელმძღვანელად დანიშვნისა და თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად არჩევის საკითხის განხილვა.

3. თსუ-ს ასოცირებული პროფესორის, ქალბატონი თამარ ზარანდიას ,,სამოსამართლო კერძო სამართლის კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე რეკომენდაციის მიცემა;

4. თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრის, ასისტ.-პროფ. გიორგი ამირანაშვილის ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად არჩევის საკითხის განხილვა.

5. ჟურნალ „თანამედროვე კერძო სამართლის მიმოხილვის“ თანარედაქტორის, თსუ-ის დოქტორანტის მარიკა დუმბაძის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრად მიღების საკითხის განხილვა.

6. პროფ. ბესარიონ ზოიძისათვის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის ვადის ერთი წლით გაგრძელების საკითხის განხილვა.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი, ასოც. პროფ. სერგი ჯორბენაძე, რომელმაც საბჭოს გააცნო ინსტიტუტთან ხელოვნების სამართლის ცენტრის შექმნის მიზანშეწონილობა. მან აღნიშნა, რომ მსგავსი კვლევითი ცენტრები არსებობს დასავლეთის უნივერსიტეტებში. საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. ბესარიონ ზოიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ასოც. პროფ. სერგი ჯორბენაძე იურიდიული ფაკულტეტის წარმატებული მკვლევარია და მისი დანიშვნა აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელად სრულიად მიზანშეწონილია. ასევე, მხარდასაჭერია ასოც. პროფ. სერგი ჯორბენაძის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად არჩევა.

მესამე საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა კვლავ დაადასტურეს ქალბატონ თამარ ზარნადიას ,,სამოსამართლო კერძო სამართლის კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნის მიზანშეწონილობა.

მეოთხე საკითხთან მიმართებით პროფ. ბესარიონ ზოიძემ აღნიშნა, რომ თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი, ასისტ.-პროფ. გიორგი ამირანაშვილი წარმატებული მკვლევარია, ის მჭიდროდ თანამშრომლობს ინსტიტუტთან და მიზანშეწონილია მისი აღნიშნული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად არჩევის საკითხის განხილვა.

მეხუთე საკითხზე პროფ. ბესარიონ ზოიძემ აღნიშნა, რომ თსუ-ის დოქტორანტი, ქალბატონი მარიკა დუმბაძე დიდი ხანია თანამშრომლობს თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტთან, ის ჟურნალ „თანამედროვე კერძო სამართლის მიმოხილვის“

თანარედაქტორია, წარმატებული მკვლევარია და მიზანშეწონილია მისი თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრად მიღება.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს პროფ. ბესარიონ ზოიძის ინიციატივებს.

მეექვსე საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა პროფ. ირაკლი ბურდულმა და მან სამეცნიერო საბჭოს შესთავაზა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე პროფ. ბესარიონ ზოიძის კიდევ ერთი წლის ვადით დანიშვნის მიზანშეწონილობა.
საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას.

II. დაადგინეს

1. თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტთან შეიქმნას „ხელოვნების სამართლის ცენტრი" და შესაბამისი ცვლილებები შევიდეს ინსტიტუტის დებულებაში, კერძოდ, მე-2 მუხლს დაემატოს 2^1 პუნქტი შემდეგი შინაარსით: ინსტიტუტის შემადგენლობაში შედის, ასევე, „ხელოვნების სამართლის ცენტრი", რომლის მიზანია:

ა) ხელოვნების სამართლის განვითარება და მისი სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ბ) ხელოვნების სამართლის ცალკეული მიმართულების კვლევა;

გ) პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ჩართა ხელოვნების სამართლის კვლევასა და სამეცნიერო გრანტების მოპოვებაში;

დ) სემინარების, კონფერენციების ჩატარება ხელოვნების სამართლის მიმართულებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის ხელის შეწყობა ლექციების, კონსულტაციების, ერთობლივი კვლევების გზით;

ე) საერთაშორისო გამოცდილებისათვის ხელის შეწყობა საქართველოში ხელოვნების სამართლის დამკვიდრების პროცესში.

2.

ა) რეკომენდაცია გაეწიოს ასოც. პროფ. სერგი ჯორბენაძის „ხელოვნების სამართლის ცენტრის" ხელმძღვანელად დანიშვნას;

ბ) ასოც. პროფ. სერგი ჯორბენაძე არჩეულ იქნეს თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

3. რეკომენდაცია მიეცეს ასოც. პროფ. ქალბატონ თამარ ზარანდიას ,,სამოსამართლო კერძო სამართლის კვლევითი ცენტრის" ხელმძღვანელის თანამდებობაზე;

4. არჩეულ იქნეს თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი გიორგი ამირანაშვილი;

5. მიღებულ იქნეს თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრად თსუ-ის დოქტორანტი მარიკა დუმბაძე;

6. პროფ. ბესარიონ ზოიძეს მიეცეს რეკომენდაცია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე ვადის ერთი წლით გაგრძელების შესახებ;

7. აღნიშნული ცვლილებები შესაბამისად გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დებულებაში;

8. ეთხოვოს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, დაამტკიცოს თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის განახლებული დებულება, კერძოდ:

ა) მისი მე-3 მუხლის მე-2 და მე-2[1] პუნქტები, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის სტრუქტურაში ,,სამოსამართლო კერძო სამართლის კვლევითი ცენტრის", ასევე ,,ხელოვნების სამართლის ცენტრის'' ფუნქციონირებას (თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2024 წლის 10 სექტემბრის №10 სხდომის ოქმის საფუძველზე);

ბ) ,,ხელოვნების სამართლის ცენტრის'' მოქმედება ასევე აისახოს ინსტიტუტის დებულების მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში, რომელშიც საუბარია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით: ინსტიტუტის ხელმძღვანელი, „სამოსამართლო კერძო სამართლის კვლევის ცენტრის", „ხელოვნების სამართლის ცენტრისა" და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალს წარმოადგენს, ქმნის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.

გ) დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი თანამდებობაზე ინიშნება ინსტიტუტის დირექტორის წარდგინების საფუძველზე დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარე, პროფ. ბესარიონ ზოიძე

სხდომის მდივანი, ასისტ.-პროფ. გიორგი ამირანაშვილი